მიბარების ხელშეკრულება

ქ. _____._____.202____ თბილისი

შპს „_____“-ი (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც - **„მიმბარებელი“**, ერთის მხრივ და **შპს „_____“**-ი (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც - **„შემნახველი“**, მეორეს მხრივ, ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„შემნახველი“** ვალდებულია, **„ხელშეკრულებით“** დადგენილი პირობებით, 1.3. პუნქტით გათვალისწინებული საზღაურის სანაცვლოდ, მიიღოს და შეინახოს **„მიმბარებლის“** მიერ მისთვის გადაცემული საქონელი და დააბრუნოს იგი უვნებლად **„მიმბარებელს“** პირველი მოთხოვნისთანავე;

1.2. **„მიმბარებლის“** მიერ **„შემნახველისათვის“** საქონლის გადაცემისას **„მხარეებს“** შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიბარების პერიოდი მოიცავს ____.____.202__-დან ____.____.202__-მდე პერიოდს;

1.3. მიბარებული საქონლის დასახელება და ზუსტი სპეციფიკაცია განისაზღვრება **„მხარეებს“** შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

2. მომსახურების ღირებულება

2.1. მიბარებული საქონლის შენახვა - მოვლა პატრონობის მომსახურების **ღირებულება დღგ-ს ჩათვლით** შეადგენს - _____ **ლარს** თვეში;

2.2. **„მიმბარებელი“** მომსახურების ღირებულების გადახდას ახორციელებს საანგარიშო თვის შემდეგი თვის ___ რიცხვამდე უნაღდო ანგარიშსწორების წესით, **„შემნახველის“** საბანკო ანგარიშზე ფულადი თანხების გადარიცხვის გზით.

3. „მხარეთა“ ვალდებულებები:

3.1. **„მიმბარებელი“** ვალდებულია:

3.1.1. საქონლის მიბარების მომენტში **„შემნახველი“** გააფრთხილოს საქონლის ხარისხობრივი ნაკლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

3.1.2. საქონლის მიბარებისას გააფორმოს **„შემნახველთან“** საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი;

3.1.3. მიიღოს და დააადასტუროს **„მიმბარებლის“** მიერ მისთვის მომსახურების თანხაზე გამოწერილი საგადასახადო/ფინანსური დოკუმენტაცია;

3.1.4. მიბარებული საქონლის უკან დაბრუნებისას გაუფორმოს **„შემნახველს“** მიბარებული საქონლის უკან დაბრუნების აქტი;

3.1.5. გადაუხადოს **„შემნახველს“** მომსახურების ღირებულება.

3.2. **„შემნახველი“** ვალდებულია:

3.2.1. საქონლის მისაბარებლად მიღების მომენტში ხარისხობრივად და რაოდენობრივად გადაამოწმოს მიბარებული საქონელი;

3.2.2. საქონლის მიბარებისას გააფორმოს **„მიმბარებელთან“** საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი;

3.2.3. არ გამოიყენოს მიბარებული საქონელი (ან მისი ნაწილი) მისი ან მესამე პირების ინტერესებისთვის;

3.2.4. მოახდინოს მიბარებული საქონლის დასაწყობება ამგვარი საქონლისათვის საჭირო შენახვის პირობებში;

3.2.5. მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს მე-2 დღისა) უკან გადასცეს **„მიმბარებელს“** მიბარებული საქონელი, იგივე ხარისხით და რაოდენობით;

3.2.6. გაწეულ მომსახურების თანხაზე გამოუწეროს **„მიმბარებელს“** საგადასახადო/საბუღალტრო დოკუმენტები;

3.2.7. მიბარებული საქონლის **„მიმბარებლისთვის“** უკან გადაცემისას გაუფორმოს **„მიმბარებელს“** მიბარებული საქონლის უკან დაბრუნების აქტი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. **„ხელშეკრულებ“** ძალაში შედის **„მხარეთა“** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს _____. _____._____.-მდე;

4.2. **„ხელშეკრულება“** ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს **„მხარეთა“** შეთანხმებით ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

„მიმბარებელი“

შპს „_____“-ი (ს/ნ _____)

_____ /_____ _____, პ/ნ _____, დირექტორი /

„შემნახველი“

შპს „_____“-ი (ს/ნ _____)

_____ /_____ _____, პ/ნ _____, დირექტორი /